ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

ორიათას თოთხმეტი წლის თხუთმეტ სექტემბერს მე, ნოტარიუს ნანა **ბაკურაძეს**, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №76-ში, მომმართა **ვასილიოს ლაგიოსმა,** რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ვასილიოს ლაგიოსმა** (დაბ. 08.10.1969წ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, მცხოვრები მის მიერ გაცხადებულ მისამართზე ქ. თბილისი, II ნავთლუღის დასახლება VII ქ. №74 ამერიკის შეერთებული შტატების პასპორტი: P USA 711734150, გაც. 24.03.2006წ.) მომმართა. მე შევამოწმე **ვასილიოს ლაგიოსის** ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **ვასილიოს ლაგიოს** (დაბ. 08.10.1969წ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, მცხოვრები მის მიერ გაცხადებულ მისამართზე ქ. თბილისი, II ნავთლუღის დასახლება VII ქ. №74 , ამერიკის შეერთებული შტატების პასპორტი: P USA 711734150, გაც. 24.03.2006წ.) ვენდობი **ხუტა მუკბანიანს** (დაბ. 31.03.1957წ. ლენტეხში, პირადი №27001000423) იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, მათ შორის: შემოსავლების სამსახურში, საჯარო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, პერიასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, არქიტექტურის სამსახურში, მიმართოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი განცხადება ნებისმიერი დაწესებულებიდან, მართოს ჩემს სახელზე რიცხული უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისი ჭიჭინაძის ქ. №6, ს/კ 01.19.23.015.002 ჩაატაროს კეთილმოწყობის, სარემონტო და რეკონსტრუქციის სამუშაოები, გადაიხადოს სახელმწიფო და სხვა გადასახადები, განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს რაც ამ დავალების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

მინდობილობა გაცემულია 2 (ორი) წლის ვადით და ძალაშია 2016 წლის თხუთმეტი სექტემბრის ჩათვლით.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, 10 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.დ.გ 1 ლარი და 80 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა): – სულ გადახდილია 13 ლარი და 80 თეთრი.

ვასილიოს ლაგიოს ვასილიოს ლაგიოს

ნოტარიუსი ნანა ბაკურაძე

საქართველო ნოტარიუსი ნანა ბაკურაძე GEORGIA NOTARY NANA BAKURADZE 01024030536

სანოტარო მოქმედების იდენტიფიკატორი ნომერი

82180371372514

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140997542

რეგისტრაციის თარიღი

15.09.2014 წ

ნოტარიუსი: ნანა ბაკურაძე
მისამართი: ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
ტელეფონი: 33 18 67

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება- გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18